# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად გიგზავნით მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშს და განვმარტავთ შემდეგს:

მუნიციპალიტეტის 2015 წლის I კვარტლის შემოსულობების გეგმა შეადგენდა 1337,5 ათას ლარს, ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული თავისუფალი ნაშთის 322,4 ათასი ლარის ჩათვლით ფაქტიურად იგი შესრულებულია 1 600.5 ათასი ლარით. აქედან - ქონების გადასახადში 8,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 41,9 ათასი ლარი - 33,9 ათასით მეტი, სხვა შემოსავლები 132,7 ათასი ლარის ნაცვლად 265,6 ათასი ლარია შემოსული ანუ 132,9 ათასი ლარით მეტი, მ.შ. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი შემოსულია 193,8 ათასი ლარი, ნაცვლად 111,9 ათასი ლარისა, ბანკის მომსახურების პროცენტი 8,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 13,1 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებლები 1,5 ათასი ლარის ნაცვლად 10,5 ათასი ლარია შემოსული - 9,0 ათასით მეტი; შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან 48,2 ათასი ლარია შემოსული გეგმით გათვალისწინებული 11,3 ათასი ლარის ნაცვლად. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 12,0 ათასი ლარი; ფინანსური დახმარებები (ტრანსფერები) მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან 958,6 ათასი ლარი, რასაც გეგმა ითვალისწინებდა.

ამავე პერიოდის გადასახდელები (ნაშთის ჩათვლით) გახარჯულია 1 284,8 ათასი ლარი ნაცვლად 1347,5 ათასი ლარისა - 62,7 ათასი ლარით ნაკლები;

ცალკეული საბიუჯეტო დაწესებულებების მიხედვით, როგორც საერთო მოცულობაში, ისე ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით თანხების გადახარჯვას ადგილი არ აქვს.

- მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა გაეხარჯა გეგმით 330,7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახაჯულია 288,4 ათასი ლარი - 42,3 ათასით ნაკლები;

- მუნიციპალიტეტის საკრებულომ – 154,9 ათასი ლარი გახარჯა ნაცვლად 178,0 ათასისა , ანუ 23,1 თასით ნაკლები;

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გახარჯული აქვს 49,8 ათასი ლარი, რასაც გეგმა ითვალისწინებდა;

- თავდაცვის ღონისძიებებზე (სამხედრო სამსახური) 22,5 ათასი ლარი გაიხარჯა ნაცვლად 27,4 ათასი ლარისა;

- გზების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე 40,2 ათასი ლარია გახარჯული;

- კომუნალურ სამსახური ,,სხივი“-ს გახარჯული აქვს 77,4 ათასი ლარი, გეგმაც ამდენივეს ითვალისწინებდა;

- ა(ა)იპ ,,კურორტი ბახმარო“-მ 9,6 ათასი ლარი გახარჯა, გეგმა შეადგენდა 11,1 ათას ლარს ანუ 1,5 ათასით ნაკლები ;

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობაზე (ციტრუსის მოსავლის სარეალიზაციო თანხა, შენობების ტექ. პასპორტები, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველები იზოლიაცია) გაიხარჯა 13,1 ათასი ლარი;

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე 34,6 ათასი ლარი გაიხარჯა (2014 წელში შესრულებული სამუშაოების ნაშთიდან დარჩენილი თანხა)

- საბავშვო ბაღების დაფინანსებაზე გახარჯულია 175,0 ათასი ლარი რასაც გეგმა ითვალისწინებდა;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსებაზე გახარჯულია 22,5 ათასი ლარი, გეგმა - 23,0 ათასი ლარი, 0,5 ათასით ნაკლები;

- ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე 5,0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 3,4 ათასი ლარი;

- სპორტული ღონისძიებების და სპორტული ობიექტების დაფინანსებაზე 113,5 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 97,9 ათასი ლარი - 15,6 ათასით ნაკლები;

- კულტურის ღონისძიებების და კულტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 169,3 ათასი, გეგმა შეადგენდა 184,2 ათასს.

- რელიგიის დაფინანსებაზე გახარჯულია 1,8 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული 3,5 ათასი ლარის ნაცვლად;

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებაზე 5,9 ათასი ლარი გაიხარჯა;

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა დაფინანსდა 18,3 ათასი ლარით, გეგმა - 25,0 ათასი ლარი;

- სოციალურ დახმარებებზე საერთო მოცულობაში გახარჯულია 100,2 ათასი ლარი, გეგმა 102,1 ათას ლარს ითვალისწინებდა. წლიური ბიუჯეტის მოცულობის 22,2 პროცენტი;

იხილეთ I კვარტლის შესრულების ანგარიში.

დანართი --- ცალად.

პატივისცემით,

*მუნიციპალიტეტის გამგებელი:* *ირაკლი კუჭავა*